



ბორჯომი

13 იანვარი
ხუთშაბათი
2022 წელი

№2 (9212)

ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

შობა-ახალი წლის ღონისძიებები ბორჯომში

ბორჯომში, პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები გალა-კონცერტით დასრულდა. ქალაქის ცენტრში მონაწილეობის სცენიდან ბორჯომელებს ახალი წელი მიულოცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, და მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ**. ქალაქის ცენტრში ასლადრეაბილიტირებულ სკვერში, საშობაო ბაზრობაზე, მსურველებს ადგილობრივ ხელოვანთა და მენარმეთა მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნის შედეგად მიღებული მთელი დღის მანძილზე საბავშვო-გასართობო სერვისებში პატარებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობები გაიმართა, მათ შორის ფოტოსესია სანტა კლაუსთან. ქალაქის ცენტრში საზეიმო მსვლელობა მოაწყო მოძრაობა ორკესტრმა. დღის ბოლოს, გალა-კონცერტი ცენტრში გასსა. კონცერტში მონაწილეობდნენ ყველა ასაკის საყვარელი და ცნობადი სახეები, **გიორგი სუსტიანი** და **ზუკა ხუციშვილი** ბენდთან ერთად. სადღესასწაულო ღონისძიებები ფორიერეკით დასრულდა.

8 იანვრის ჩათვლით ბორჯომში საახალწლო ღონისძიებები ტარდებოდა, რომელშიც ბორჯომის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა და ბორჯომის ხელოვნების ცენტრთან არსებულმა შემოქმედებითმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა.

სოციალური პროგრამების რეალიზაცია გაიზარდა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია მოსახლეობის დახმარებაში პრევენციის შემდეგ მიმდინარეობს **სოციალური პროგრამების** გაუმჯობესების მიზნით, 23 პროგრამის ახორციელებს. აქედან 2022 წელს 2 ახალი პროგრამა დაემატა: **რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით სოციალურად დაუცველი მარტონი-ელა დედებისათვის და მეორე, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა. პროგრამის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.**

პროგრამით ისარგებლებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები ოჯახები (მათ შორის შშმ, სსმ, დანაშაულის ან და ძალადობის მსხვერპლი, კანონით კონფლიქტში მყოფი, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი).

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობის სტატუსის მქონე ბავშვებს, სასწავლო პროცესის ხელშეწყობა ბორჯომის მერია ერთჯერადად 300 ლარით დაეხმარება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ოჯახები ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარს მიიღებს.

ცვლილება განხორციელდა მოქმედ პროგრამებში.
ახალდადაქორწინებული წყვილები 150 ლარის ნაცვლად ბორჯომის მერიისგან ერთჯერადად 300 ლარს მიიღებენ.

ასევე ცვლილება შევიდა სტაციონარულ პროგრამაში, კერძოდ, 18 წლამდე შშმ პირები ერთჯერად დაფინანსდებიან სრულად, მაქსიმალურად გასაცემი თანხა 3000 ლარს შეადგენს.

ცვლილებებია მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში, დიალიზზე მყოფი პაციენტები, ყოველთვიურად 50 ლარის ნაცვლად დაფინანსდებიან 100 ლარით. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტების შესაძენად ერთჯერადად 100 ლარს მიიღებენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. დახმარებები განუთავსოდა იმ კატეგორიის ბენეფიციარებისთვის, რომელთა სამედიცინო მოსახსურებლის ხარჯებსაც სახელმწიფო პროგრამები ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ ფარავს. ზოგიერთი კატეგორიის ბენეფიციარის დახმარება კი დიფერენცირებულია სარეიტინგო სოციალური ქულების მიხედვით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებს:

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება და დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი.

- ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება.
- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება.
- 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტწილიანი ოჯახების დახმარება.
- სარიტუალო დაკრძალვის ხარჯები.
- უჭირისუფლო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯები.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირობის ერთჯერადი დახმარება 9 მაისს.

26 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება.

ლვან ლომოსილი ადამიანების დახმარება.

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარება.

ახალდაქორწინებული პროგრამა.

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ბავშვებზე „ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება.

ყოველთვიური მატერიალური დახმარება 18 წლამდე ასაკის შშმ პირებზე.

მრავალშვილიანი ოჯახებზე (ოთხი და მეტი შვილი) 3 მარტს - „დედის დღესთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება.

მარტისებელა მშობლების დახმარება.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა.

მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა.

სოციალური პაკეტიში გათვალისწინებულ კატეგორიაზე ორჯერადი დახმარება.

მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვთა მურვეების კომუნალურ გადასახადების წილობრივი დაფინანსება.

შშმ პირთა დღის ცენტრის ხელშეწყობა.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კომუნალური სუბსიდირება ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.

უფასო სასაბავშვო დაფინანსება.

დანიშნა

ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკს ახალი დირექტორი ჰყავს. აღნიშნულ პოზიციაზე, **ლერი გელაშვილი** დანიშნა.

ჩემთვის მთავარი ამოცანაა, პარკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ პარკი გახდეს უფრო მიმზიდველი როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე აქ ჩამოსული ტურისტებისთვის, განაცხადა ლერი გელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ლერი გელაშვილი 2001-2007 წლებში მუშაობდა, შსს ბორჯომის რაიონის სამმართველოში.

2007 წლიდან, დღემდე მუშაობდა, ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დამართა დაგროვით და მამახარით

ბორჯომისა და ბაქრაინის აპარატივების მფლობელი მამახარით, მამახარით და მამახარით

ქვირფასო თორელები კეთილი მომავლის იმედით ადგილობრივი გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულებსა და გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს და ფიზიკურ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულსა და მშვიდობის დასაბრუნებლად თქვენს ოჯახებსა და სრულიად საქართველოში. **ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, იდეგრძელეთ მრავალშვილიანი!**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარესთან **დავით ზაალიშვილთან**, მერის მოადგილესთან **იოსებ რაზმაძესთან**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან **ნიკოლოზ კინაძესთან** და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებთან **სალომე თედეაშვილთან** და **მაკა მანჯავიძესთან** ერთად ახალი, 2022 წლის დადგომა ბორჯომის „ჯეოპოლიტიკის“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მედიკოსებს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს მიულოცეს, ტვირთული გადასაცემი და წარმატებები უსურვეს.

- მინდა მოგილოცოთ ახალი წლის შემობრძანება. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში დგახართ ქვეყნის და ხალხის სამსახურში და ამაში უდიდესი ადამიანური რესურსია ჩადებული, - აღნიშნა ბორჯომის მერმა მილოცვისას.

ეპიდემიოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა ბრძოლა

ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე „ომიკრონის“ შტამის გავრცელების გავლენა და პოსტიტალური სექტორის მზაობა განიხილეს უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. აღნიშნა, რომ „ომიკრონის“ შტამს გავრცელების მაღალი სისწრაფე ახალი იათებს, შესაბამისად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმების ზედმინევენით შესრულებას - პირბადის ტარებას, სოციალური დისტანციის დაცვას და ხალხმრავალი შეკრებების თავიდან აცილებას. ასევე ხაზი გაესვა ვაქცინაციისა და ენ ბუსტერ დოზებით აცრის მნიშვნელობას ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისთვის. როგორც ცნობილია, მთავრობის გადანიშნული ვაქცინების, იანვრის ბოლომდე გრძელდება 200-ლარიანი ნახალისების ღონისძიება და იმ პირთა ასაკმა, რომლებიც თანხას კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შემდეგ მიიღებენ, 50 წლამდე დაინია.

კვლავ ძალაში რჩება საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაცია, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შენარჩუნდეს მუშაობის დისტანციური რეჟიმი როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საკურორტო სეზონის გათვალისწინებით, გამოიკვეთა სამთო კურორტებზე ინფიცირების შემთხვევების მატების ტენდენცია, ამიტომ საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს დამსვენებლებს, დაიცვან ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმები და ატარონ პირბადე, გაუფრთხილდნენ საკუთარ და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას.

საკოორდინაციო საბჭომ ასევე იმსჯელა საერთაშორისო პროტოკოლის შესაბამისად საკარანტინო ვადების შემცირებასთან დაკავშირებით და ამ თემაზე შესაბამისი გადაწყვეტილებები უახლოეს დღეებში იქნება მიღებული. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 968 313 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 916 421 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 14 264 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 69 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 1 801 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 4 431 პირი. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

„კულუნიკ პელო“ გრძელდება მოზარდების კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პარტნიორობით ახალი პროექტი იწყება მოხალისე მოზარდებისთვის. პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „კულუნიკ პელო“-ს მიერ. პროექტის მიზანია, მოზარდებში კორონავირუსის გავრცელების პრევენცია ჰიგიენის ხელშეწყობის ღონისძიებების ჩატარების გზით. ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია.

პირველ ეტაპზე, კონკურსის გზით შერჩევიან 13-დან 19 წლამდე მონაწილეები - მთელი ქვეყნის მასშტაბით. მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2022 წლის 14 იანვრის ჩათვლით, წინასწარი რეგისტრაციის გზით. პროექტი განხორციელდება საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში, სადაც მოზარდები ახალგაზრდულ კლუბებს დააფუძნებენ, კლუბების ძირითადი საქმიანობა კი ადგილობრივ თემში ჰიგიენის საკითხებისა და მოხალისეობრივი იდეის პოპულარიზება იქნება.

პროექტის მიმდინარეობისას თანასწორ-განმანათლებლები გაივლიან თემ-ტურ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიებს, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში კომპეტენციების ამაღლებას. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კი თანატოლებს გაუზიარებენ თავიანთ თემში. მონაწილეებს ასევე საშუალება ექნებათ მოიპოვონ მიკრო გრანტები და განახორციელონ მცირე, ლოკალური პროექტები. ისინი თავად შექმნიან ეფექტურ მოხალისეობრივ სერვისებს ადგილობრივი თემისა და თანატოლებისთვის საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ყველაზე მონყვლად რეგიონებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებსა და ღონისძიებებს გაუძლევიან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, სპეციალისტები და სხვა დარგის ექსპერტები.

პანდემიის გამომწვევებზე საპასუხოდა, მოზარდების აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების არსებობა, რომელსაც თავად ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ, რათა ხელი შეუწყონ ჰიგიენის დაცვას, ვირუსის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს.

რეგისტრაცია მიმდინარეობს ბმულზე: <https://forms.gle/jjKkbqW575w7uaF97>

გულითა და საქმით ერთგული

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციას ყოველდღიური ფუსფუსით, მინდობილი საქმის უსაზღვრო სიყვარულით და უწყინარობით უკეთესობილები ქალბატონი სპეციალისტი ინდივიდუალურ სხის, ავსებს და ამშვენებს. უკვე, 30 წელზე მეტია, იგი იზიარებდა მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობს გაზეთის ფინანსების საქმეს. ბულალტერია, მისთვის უბრალო ციფრები არ არის და ეს საქმე ყველაზე ასლო „ნათესავი“ გამაგრება, ამას მრავალი შინაარსიანი წელიც მოწმობს. გვინდა ყველამ - თითოეულმა წევრმა ჩვენ-ჩვენი წილი სათქმელით მოვხერხოთ მას, როგორც სასურვეს, რომელსაც ელოდებიან, ესაუბრებიან და არ ემეტებთ არსად გასაშვებად. ჩვენი გულისხმიერა, მეგობრულად, ლობობიერ რედაქციის ინიციატივით კი ის, მართლაც რომ ადვილად ვერ მოსწყდება რედაქციის ბუდეებს: აქ ხომ მრავალწლიანი, სექტაკი, მრავალჭირგამოვლილი, ადამიანური ურთიერთობები დევს თამასად? სხვა ფუნქციურ პოზიციებზე გადაყვანა ერთადერთი, ნაკლებად უპიტივინო ცამოსავალი ჩანს ამ ეტაპზე.

შეგნებულად ადამიანს დაელოდა და ფული გადაიხადე - ეს გამონათქვამი ზუსტია, როცა სვეტა დეიდა ესაუბრებით. რატომ? იმიტომ, რომ გვაძლებს რჩევას, მოგვცემს ბოლომდე გულს-სულს, გაჭირვების ტალღებზე გვევლინება და თავისი შეგნებით, თავდაპირველყოფილი ყოველდღიური მატარებელს გვანჩვენებს. არ უყვარს დიდად საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე საუბარი, რადგან ეს ჩვეულებრივად მიანიხი და ამ დროს, დღევანდელ რეალობაში როგორი გასაფრთხილებელია, როგორი შესაძარჩუნებელია, როგორი ჩასახუტებელია ასეთი პიროვნება. ქედს ვიხრით მისი, ესოდენ, მასავეტი ტკბილი ასაკის წინაშე!



მოყვარე, ერთგული და ყველასთვის ძვირფასი ქალბატონი გახლავთ რედაქციის ბულალტერი სვეტა ხანტი. ჩემთვის სა- მაგალითო და მისაბაძი პიროვნებაა. მიყვარს, მისი სიწმინდე, განიხილვაზე უ- ლი ხასიათი. უთქმელით, ნათქვამი ყველა სათქმელი. მასთან საუბრისას მას- სენდება, რომ ბრძნად მეტყველება ვერ- ცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი ოქრო რჩეული... მისი შემართება გახ- სენებს, როგორ უნდა იყო და როგორ იცხოვრო.

ნატო მელიქაძე - სვეტა დეიდა ჩემთვის, შესანიშნავი ქალის, დედის, კოლეგისა და საერთოდ, საუკეთესო ადამიანის იდეალია. მას რომ ვუყუარებ ვხვდები, რომ ასაკი მხოლოდ ციფრებია.

სოფო ლომიძე - სვეტა დეიდა რედაქციამ დედის ფუნქციას ითავსებს. მისი დამსახურებაა სიმელოდოვე და სიმშვიდე რედაქციაში... მიყვარს და მინ- და მისი მოწინააღმდეგეულობის და უთქ- ტულურობის მცირედი მინც გამაჩნდება... მაღლობა, რომ რედაქციაში მოხვლა ზეიმად მიქცევთ იმ დიდი სიბობს გამო- ატვით, როგორცაა თუნდაც სიყვარუ- ლის მარცვლებით ფინჯანი ყავის მოღუდე- ბა.

რაქაპორის მინაწარი - თი- თოულ შრომით კოლექტივში სა- ფინანსო დარგის მუშაკის შეფასე- ბა განსაზღვრება მისი პროფე- სიონალიზმით, კეთილსინდისიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით. ამ პოზი- ციაზე რედაქციის ყველაზე რთულ პერიოდში ყავდა შესანიშნავი ად- ამიანი, თითოეული თანამშრომლის მიმართ დედასავით მზრუნველი, გულიანსმიერი, საერთო საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება ქალბატონი სპეციალისტი. თუ გაზეთი „ბორჯომი“ დღემდე „სუნთქავს“ და მკითხველს ახარებს „ლომის წილი“ მას ნამდვილად მი- უძღვის.

მონია ჯანაშია

იხარეთ და იმრავლეთ!

ღმერთი მომსწარ ისეთ ახალ წელს, რომ სურვილები ამიხდეს ყველა, ღმერთი ფარავდეს ციდან ქართველ ერს და მისგან ქონდეს ძალი და ძველა. მშვიდობა გვეტას, რომ ცათა შინა აღარ უღრუნდეს ქართველი ქართველს, მათხვარს ქონდეს ლუკმა და ბინა, ყველა ანთებდეს ტამარში სათთელს. რომ ბიროც სძლიოს ისევ კეთილმა. გაჭირვებულ კაცს შევლოდეს ღმერთი, რომ ისევ-ისევ ყველა დევილმა თავის მამულში დაადგას ფეხი. იმედი გვექონდეს მუდამ მოყვასის, სიყვარული კი სუფევდეს გულში. რწმენაც გვექონდეს ნათელ მომავლის, არ გავეყვილოთ სამშობლო ფულში. რომ ერთად დოვდეს „ქოცი“ და „ნაცი“, და აღარ იყოს მათ შორის შუალი, ყველას ცილხარდეს სამშობლოს ფასი და მოკრძალება გვექონდეს უფლის. არ გავეყვილოთ 30 ვერცხლად მამული, ენა, სარწმუნოება და მოვეხმაროს სამშობლოსათვის ჩვენი ნიჭი და ჩვენი ვიწრო. ყველა ოჯახში ჩნდებოდეს ბავშვი, ერთი კი არა, ხუთი და მეტი, არ შეგვეყაროს საცარი თვალში, არ გავაწვევიტოთ ჩვენივე ბები. არ გვერევიტოთ გუკუს სულთანი, აღარ გვეცემოდეს არც სხვის დაკრულზე, ნუ მოვიტყვიტოთ როგორც სტუმარი, ყველას გვეუქროს მხოლოდ მამულზე. რომ საქართველო ისევ გვეხილოს ძლევაგამოსილი და ერთიანი და რომ ხარობდეს საქართველოში მარად ქართველი ადამიანი. აღარ გვერთხეოდეს მიწას და მამულს, აღარც - ოსმალი და აღარც რუსი, დრო დამდგარიყოს, ლარს გადაეწვიოს დოლარისათვის ფასით და კურსით. რომ აღარ ხრავდეს ბიუჯეტს ვირთხა, ყველამ ვიცოდეთ შენი და ჩემი, ვინც კიდეც შეტკამს ხალხის ნაოფლარს, ძირში გაუნებს მარჯვენა ხელი. კოვიდ-19-იც მალე გვეწახოს, თავის შტაბშით საღვაც გამქრალი, და აღარასდროს დაგვჭირვებოდეს აღარც ექიმები, აღარც წამალი. ყველა ოცნება და ყველა ნატვრა ასრულებოდეს ჩემს ქართველ ერსა, და მეც ვულოცავ ჩემს საქართველოს ამ ორიათას ოცდაორ წელს.

ზაზა ბიგილაძე

უშანგი ჯანგირაშვილი - ადრე მასზე მიძღვენი ნეროლიმ ფუსწოდე მას რედაქციის ლამაზი დედიკო - კარგი ადამიანი, საოცრად უთქმული. გაგაკრებთ მის დოკუმენტებში თუ ჩახიე- დავთ - ლამაზი ქართული ასოებით უკრულვული. დიდი ხანა ასეთი ლამაზი კალიგრაფიული ნაწერი არ მინახავს. სანამოში ქალბატონია, დიდი პატვის- ცემა მას ჩვენგან!

ნუგზარ ქარელი - ქალბატონი სვე- ტა დედას მაგონებს, მასავით თბილი, მშრომელი და ყურადღებანი. ის რომ რედაქციაში არ არის, გული სხვანირად მიღებს, არ შემოიღია მაშინათვე არ მოვიკითხო. დიდი პატვისცემა და მონ- ინება მაქვს მის მიმართ.

ნათელა იქიტაძე - ჩემო აკურატ- ულო, საქმეში მოფუსფუსე, უწყინარო, მშვიდო, განიხილვაზე უკრულვული ქალბატონო - სვეტა, ჩვენი მრავალწლიანი თანამ- შრომლობა სიყვარულით და ურთიერთ- პატვისცემით მოვიყვანეთ 2022 წლამდე. ამ წლიდან ჩვენი ურთიერთობა უფრო გატკბება და ეჭვი არ მუპარება, რომ შენი თბილი გულის პატრონსაც, ეს სურვილი გვექნება. მთავრობა, ჯანმრთე- ლად და მხნედ ვიყოთ.

რუსუდან სირტლაძე - რედაქციის დედა, რედაქციის დიასახლისი, რედაქცია

ის სინდისი... ვფიქრობ, გაზეთი „ბორჯო- მის“ რედაქციის კოლექტივი ერთმად დადასტურებს სვეტა დედასადმი ჩვენს მიერ სიყვარულით ურქმულ ამ ეპოტეუ- ბის სიზუსტეს. ყველამ სათითოდ და ერთსულოვნად შევარქვით ამ საოცარ ქალს ეს ტკბილი სახელები. დედა - იმიტომ, რომ ყველაზე და ყველაფერზე უზუნავს - ჩვენზე, რედაქციაზე, დარ- დობს გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამი- ანებზე. თბილი და სტუმართმოყვარე რედაქციაში ისე გრძობს თავს, როგორც საკუთარ სახლში - ყველა მოსვლულს გულთბილად ხვდება, ნაცნობებს მშვიდ მასლათის გაუბამს, ისე, რომ სხვა არ შეანახოს, ახლობელ-ნათესავს მოიკითხ- ავს. უცნოს ურდობობიანად მოიპატუვებს და ზედმეტი კითხვებით არ შეანახებს. დედალური დიასახლისია - ნებისმიერი, სულ პატარა სუფრაც კი, მისი სუფთა და გემრიელი ხელებით ისე იშლება, თითქოს ჯადოსნური გადასაფარებელი გადაფარაო. არასოდეს აუნებს ხმას და როდესაც დანარჩენები ცხარედ ვკამ- თობთ სხვადასხვა თემაზე, მუდამ გვამ- ვიდებს, კეთილგონიერებისაკენ მოგი- ნოდებს. მიყვარხართ, სვეტა დედა და მადლობა!!!

იზა იანგირაშვილი - უფროსი თაო- ბის წარმომადგენელი, რედაქციის შრომის-

ჩვენთვის პირველი ხალხი წელი სამშობლოსგან შირს

ვასიკო და მარიამ მელიქაძეებმა ერთმანეთი 13 წლის წინ, 31 დეკემბერს, მარიამის დაბადების დღეზე გაიცნეს. მაშინ, როდესაც მარიამის ძმა მიიყვანა ვასიკო სტუმრად მათთან ოჯახში. მარ- იამი ღიმილით იხსენებს იმ დღეს. მასსოვს, მაშინ შოკოლადი ვაჩუქე, ახალი წელი მივულოცე და ვუთხარი, რომ შოკოლადი ზუსტად ღამის 12 საათზე გაეხსნა.

სწორედ იქიდან დაიწყო მათი სიყვარულის ამბავიც, რომელიც დღემდე გრძელდება. სუთთიანი ურთიერთობის შემდეგ გადა- ნჯეტილებმა მიიღეს და 2008 წლის 30 მაისს დაოჯახდნენ. ახლა უკვე სამი შვილი ჰყავთ, ილია, ფატი და ლილე. ქვეყნის დატოვებაზე არასოდეს უფიქრიათ. მარიამი ამბობს, რომ საქართველოს საზღვრებს არ გადადგმია არასდროს, ყოველთვის ვამბობდი, ნეტავ, როდესმე თუ გავალ ქვეყნის გარეთ თუ? თუმცა ცხოვრება სოფ- მოულოდნელობებითა და სურპრიზებითა აღსავსე და მათ ცხო- ვრებაშიც სწორედ ასე მოხდა. ისინი ამერიკის მწვანე ბარათის გამარჯვებულთა სიაში მოხვედნენ და უკვე ორი თვეა, მთელი ოჯახით ამერიკაში იმყოფებიან. მარიამს სოციალური ქსელის შეშვეობით დაგვუკავშირდი და ამერიკაში ცხოვრების, იქაური შთაბეჭდილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინტერვიუ ვთხოვე:



გავლა, რის გამოც სახლი გავციდე. დიდი თანხა იყო საჭირო 5 ადამი- ანს რომ წასვლა შეგვეძლებოდა. პანდემიის გამოც აირია სავალოში ყველაფერი, მაგრამ ღმერთის წყ- ალობას ვგრძნობდი, ჩვენდა სასიკე- თოდ მიდიოდა ყველაფერი, ბევრი დაბრკობება გადავლახეთ და უკვე 2021 წლის ოქტომბერში ამერიკაში გამოვფინდით. 15 დეკემბერს 2 თვე გავიცხდა, რაც ამერიკაში ვართ. არც მაშინ გვეჯეროდა და არც ახლა გვეჯერა, რომ აქ ვართ. ნელ-ნელა ვეჩვენეთ ამერიკულ ცხოვრებას.

ზოგადად ყველას აინტერე- სებს, მწვანე ბარათის გამაჯე- ბულთათვის, რა სახის შელა- ვათები მოქმედებს ამერიკაში?

- მწვანე ბარათის გამარჯვებულს ამერიკის მოქალაქეობის, ცხოვრების, უფასო დაზღვევის და სამუშაო ად- გილის შოვნის უფლება აქვთ. სამ- წესზაროდ, ბევრს შგონია, რომ აქ ბინას, ან სხვადასხვა სახის დახ- მარებებს აძლევენ, რაც არასწორია... ჩვენ ვსხდებით ჩვეულებრივ რიგითი ამერიკის მოქალაქეები, რომლებმაც მათ მსგავსად უნდა ვიმუშაოთ და ჩვენი საკუთარი ძალებით მოვიპო- ვებ ყველაფერი.

პირველ შთაბეჭდილებებზეც რომ გავთხროთ ოროდენ სიტყვით.

- ჩამოსვლის დღიდან იმდენად ჩავე- ბით აქაური ცხოვრების რიტმში, რომ ხანდახან არც გვეჯერა, თუ ამერიკაში ვართ. მაშინ ვიარებთ აქ ყოფნას, როდესაც მანჭეტენზე გავდივართ,

ჩემმა მეუღლემ, ვასიკომ საკ- მაოდ რთული გზა გამოირა, 2008 წლის ომი, როდესაც ჯერ კიდევ სამი თვის დაოჯახებული ვიყავით, შემდეგ ავლანთი, სადაც ბევრი ქართველი დაიღუბა და მათ შორის იყვნენ ვასიკოს მეგობრებიც. მერე ოჯახის წევრებიც დაკარგა. დედა, მამა და ბიძა. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომში, ოჯახით მისი და ცხოვრობს, ცხოვრებაზე განაწყენებ- ული მიხვდა, რომ აქ აღარაფერი აკავებდა და ქვეყნის დატოვების სურვილი გაუჩნდა. ამერიკის „მწვანე ბარათის“ შექსებაზე ვასიკოს საბ- ოლოო გადანჯეტილების მიღებამდე არასოდეს გვიფიქრა. ბარათის შექსება სწორედ მისი ინიციატივა იყო. რომ წავედით, დარწმუნებით მითხრა, რომ მოვიგებთ, აი ნახე თუ არაო. 2019 წელს მამის გარდაცვალებიდან რამ- დენიმე დღეში ბარათი შევაკეთ. მასსოვს, გათამაშების ბოლო დღე იყო. საბოლოო პასუხები 2020 წლის 6 ივნისს დაიდო, მაგრამ გადამოწმე- ბა აღარ გვიფიქრა და დაგვავინწყდა კიდევ. 23 ივნისს კი უბრალოდ, გადამიმოწმა მეგობარმა და მითხრა, რომ მოვიგეთ. ის ღამე სიხარულით დაგვავთენდა, ბედნიერებისგან არ გვიძინებია. ყველას გავაგებინეთ, ეს ამბავი, იხსელა ემოციები იყო, რომ სიტყვებით ვერ გავმოგვცემთ. როცა ვიხსენებ, დღემდე ემოციურად ვყვე- ბი ამ ამბავს. პასუხის გაგების შემდგომ საჭირო იყო გარკვეული ეტაპების

რადგანაც იქ თითქოს სხვანაირი გარე- მოა. ჩვენთვის შედარებით ადვილია სინფელების ატანა, ვინაიდან მთელი ოჯახით ვართ და ვავსებთ ერთმა- ნეთს. ჩემი მეუღლეც სწორედ ამას ამბობს, რომ როდესაც მთელი ოჯახი ერთადაა, უფრო მარტივია ყველაფერი. თანაც აქ, საბედნიეროდ ბევრი ახ- ლობელი აღმოვაჩინა და მიუხედა- ვად ენობრივი ბარიერისა, მაინც არ გვიჭირს.

ახლა რა ეტაპია თქვენ ცხოვრებაში?

- ახლა ის ეტაპია, როგორც ამერიკა- ში ორი თვის ჩამოსულებს შევეფერ- ება. ჩემი მეუღლე ჩამოსვლის მესამე დღეს მუშაობს. დღითიღვე ვეჩვენებთ აქაურ ყოველდღიურობას. მე პო- რადად, რაც შემეხება, ბორჯომში წლების მანძილზე ვავითები საყ- ვარულ საქმეს, ვმუშაობდი ვიზაუის- ტად და მყავდა ბევრი ერთგული მომხმარებელი. ამიტომაც შევიძინე ყველა საჭირო მასალა, აპარატურა თუ ნივთი, რაც საყვარელი საქმის დაწყებაში დამეხმარება. ახალი გვერ- დის შექმნით ვარ დაკავებული და როდესაც დასრულდება, შევუდგები ჩემ საყვარელ საქმეს, რომლის კეთებაც უდიდეს სამოვებებს მანიჭებს.

რა, ან ვინ გენატრებათ ყველაზე მეტად?

- ყველაზე მეტად რა მენატრება?

ასე ზოგადად არაფერი. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მენატრება - გიპასუხ- ებთ, რომ მშობლები, ოჯახის წევრე- ბი, მეგობრები, ჩემი საყვარელი მე- ლისშვილები, რომლებიც ფაქტიურად, ჩემ ხელში გაიხარდნენ. ის ადამიანე- ბი, რომლებიც ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყვნენ.

ფიქრობთ, რომ ოცნებები ხდება?

- პირადად ჩვენ რაც შეგვეხება, არასდროს გვიოცნებია ამერიკაში წასვალზე და იქ ცხოვრებაზე. ეს სრულიად მოულოდნელად მოხდა ჩვენ ცხოვრებაში, თუმცა მჯერა, რომ რასაც გულით მიინდომებ, ის აუცილებლად ახდება.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- წინასწარ არაფერი გვაქვს დაგეგ- მილი. თავიდან ვინწყებთ ცხოვრებას. ყველაფერს ვიძენთ ხელახლა. სამწუ- ხროდ, არამარტო საქართველოში, აქ ამერიკაშიც, ისეთი სიტუაციაა, რომ ჯერ ჯანმრთელობა და მშვიდობა უნდა ვუსურვოთ ყველას. ყოველთვის მინდოდა ჩემ მშობლებს დახმარებო- დი, რადგანაც დედა ათი წელი იყო ემიგრაციაში და თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ჩემი წვლილი შევიტანო და რითიც შემიძლია დავეხმარო მათ. ვისურვებდი ჩემი მეუღლის ყველა ჩანაფიქრის ასრულებას, რაზეც ის ოცნებობს და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველდღიური შრომით ის ყვე- ლაფერი შეძლებს და აიხდენს კიდევ.

რა ემოციებთანაა დაკავ- შირებული დღეს უკვე ქვეყნისა- გან ძალიან შორს ახალი წლის აღნიშვნა და რას უსურვებდით სრულიად საქართველოსა და ბორ- ჯომელებს?

- უკვე 2022 წელს, ჩემ დაბადების დღეს, ჩემი და ვასიკოს გაცნობის დღეს ჩვენი ქვეყნისაგან, ჩვენი ლამაზი ბორჯომისაგან შორეულ ამერიკაში აღვნიშნავთ. 31 დეკემბრის ღამე მს- ოლოდ ახალი წლის დასაწყისი არაა ჩვენთვის, ის ჩვენი ცხოვრების მნიშ- ველოვანი რიცხვია. ამიტომაც, სრულიად საქართველოსა და ბორჯომელებს ვუსურვებ ჯანმრთელობას და სულ მცირედი ოცნებების ასრულებასაც კი. დარწმუნებული ვარ იყვენ, რომ ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ვისურვებდი, რომ ადამიანებს ისევე აფასებდნენ ჩვენ ქვეყანაში, როგორც აქ, ამ სახელმწიფოში. ბედნიერი შობა- ახალი წელი გაგიტენთ უფალმა.

ესაუბრა ნატო მელიქაძე

ვიკიპედიის დღეობის გაკვირვება

როგორც კი დაფიქრდებით იმაზე, თუ რით დაგვამახსოვრებს თავი 2021 წელს, პირველ რიგში, სიტყვები - პანდემია, კოვიდ-19, სწრაფი ტესტირება, გავსენდება... ჩვენს თვალში გაივლინენ ის დიდი, უკვდავი ადამიანები, ვინც 2021 წელს დააკლდნენ ამ წუთისთვის. ძნელია არ მოიგონო - „წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია...“, ან, კიდევ: „ბინდისფერი სოფელი, თანდათან უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით გაგვიფრინდება...“ ვაჟა-ფშაველას სულ გვმოდერნავდა, რომ „მუდამ გვანსოვდეს სიკვდილი...“ ეს ფილოსოფია ღრმად გასაგებია, მაგრამ ადამიანურად ძალიან რთულია, ერმა გააცლია უკანასკნელ გზაზე თითქმის თვეების მუშაობით უკვდავი მსახიობი **კახი კავსაძე**, თანამედროვე კლასიკოსი **გურამ დოჩინაშვილი**, ქართული ფოლკლორის მამადნობილი **ანზორ ერქომაიშვილი**, ქართული ესტრადის არნივი **თემურ ნიკოლაური**, „ერისიონის“ სულისჩამდგმელი **ჯემალ ტყუასელი**, ყველასთვის საყვარელი მომღერალი **ზურაბ დოიჯაშვილი** და სხვებიც.

ნაშვილს ცოცხალი კლასიკოსის ნოდება ჯერ კიდევ როდის მიანიჭა ქართველმა მკითხველმა. თუ სადმე რუდუნებით ვინმე უფროსი ილდებოდა ქართულ ხმას, ქართულ ფოლკლორს, გალობასა თუ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს - ეს იყო პოლიფონიის მამა ანზორ ერქომაიშვილი. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა ფოლკლორული სიმღერების შეგროვებას, მათ დაცვასა და გაფრთხილებას. თითქოს დაცვარი იქნა ხალხური სიმღერის გულმემატიკიერი მომღერალმა და ქორეოგრაფმა, რომელმაც შეკრა და მრავალწლიანი ტრადიციული ცეკვის კულტურა გამოიქრნა.

ბაკურიანს ოფიციალური ვიზიტით კურორტ შიმშულაკის დელეგაცია ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში, მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და კურორტ შიმშულაკის წარმომადგენლებმა მიმოიხილეს და გამოცდილეს გაუზიარეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: **საბაგიორების ექსპლუატაცია; სათხილამურო გზების მომზადება; ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მართვა; რთული ტრასების დაგეგმვა; სამაშველო ოპერაციების განხორციელება; საზღვაო უსაფრთხოება და ტრასების მარკირება.**

ვიზიტი მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და კურორტ შიმშულაკს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა.

ბორჯომსაც გვყავს მსოფლიო რეკორდსმენი ტალახამი

მსოფლიოს უძლიერესი ადამიანი ლაშა ტალახამე მთელ საქართველოს ხომ სიხარულით და სიმაყით ავსებს მსოფლიო რეკორდების კასკადით. და ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ჩვენც გვყავს მსოფლიოს **ორგზის რეკორდსმენი სხვა ტალახამე, ოღონდ გიორგი ტალახამე, 31 წლის, სოფელ ყვიბისში მცხოვრები.**

განაც ეს შეჯიბრებაზე არ მოხდა, ეს შედეგი არ დაფიქსირებულა. გიორგი ბავშვობიდანვე დაინტერესებული იყო ძალისმიერი სპორტით. **შვარცნევერი იყო მისი იდეალი.** სახლში, ეზოში, ბლოკს ბლოკებზე, აგურს-აგურებზე აწყობდა და ასე თანდათან აუზრუნველდა მიღწევებს. მაღალი კლასებიდან ხაშურში დაინფო სიარული, სადაც სპორტდარბაზში შტანგა ჰქონდათ. ხაშურში მისი პირველი მწვრთნელი იყო **გია მახათაძე**, 2018 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრია. (საქართველოში უძლიერეს მამაკაცთა ფედერაცია



გიორგი მისდევს, ჯან-ღონით სავსე მამაკაცების სპორტია, ძალისმიერი სპორტი; იგი ძალზე პოპულარულია, მაგალითად, ამერიკაში, საქართველოშიც მისი პოპულარობა თანდათანობით იზრდება.

შეიქმნა 2009 წელს (პრეზიდენტი **აგთანდილ ახვლედიანი**). სამწუხაროდ, აღნიშნული სპორტის სახეობა ჯერჯერობით საოლიმპიადო სპორტი არ არის, ამიტომ ვერ ხდება მისი სათანადო პოპულარიზაცია, თუმცა მაინც, საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც, თანდათანობით პოპულარული ხდება.

მაინც რა სახეობაა ეს სპორტი, რომელშიც ჩვენი თანამემამულე გუნდთან ერთად ორჯერ მსოფლიო რეკორდსმენი გახდა (2020 და 2021 წლებში). და ერთხელაც მსოფლიო თასის მფლობელი (2021 წ.)? ჩემთან საუბარში გიორგიმ დანერგულით ამისხსნა ყველაფერი.

გიორგიმ მიაპოვა სპორტი სამ სახეობას მოიცავს: **ა) სტრატეგია** - მატარებლების, მანქანების, გემების, ქვების თუ სხვა მძიმე საგნების განწევა. **ბ) სამჭიდო**, - შტანგის აწევა, რომელიც ასევე სამი ქვასახეობისაა 1) შტანგის ძირიდან აწევა. 2) ჩაჯდომში აწევა და 3) მსოფლიოში აწევა. **გ) მასრესლინგი** - ეს არის იაკუტიელების ტრადიციული სპორტი, რომელიც ჩაჯდომში ჯოხის წართმევას გულისხმობს.

გიორგიმ პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სხვა რვა რეკორდთან ერთად, როდესაც **105 ტონის** 9 ტრადიციული განივ 7 მეტრსა და 20 სანტიმეტრზე; ამით მათ მოხსნეს უკრაინელების რეკორდი, რომელთაც დასახლებული ტვირთი განივ მხოლოდ 5 მეტრზე(!). **მეორე რეკორდი დაამყარა ევროპის ნაკრებთან ერთად**, რომელშიც (9 კაცში) გიორგისთან ერთად კიდევ ორი ქართველი მონაწილეობდა. მათ 105 ტონა განივს და ქართველების რეკორდი გააუმჯობესეს 7 მეტრი და 60სმ. მსოფლიო თასი კი **მოიპოვა ბორჯომელ ლუკა ჩიკვილიძესთან ერთად** (კიდევ 7 ქვეყნიდან მონაწილეობდნენ - სულ 9 კაცი) მათ 120 ტონა განივს 7 მეტრზე.

ბორჯომელ მაღალკლასელ ვაშებს მოგვწოდებს: ვისაც ძალა და ღონე გერჩით, მიაკითხეთ ჩარხისწვალზე მსოფლიოს რეკორდსმენის სპორტდარბაზს! გიორგიმ მიაპოვა, თუ რამდენი შრომა - ვარჯიში დასჭირდა - მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის: - მთელი წლის განმავლობაში 10 თვე ვვარჯიშობთ, მხოლოდ ორი თვე ვისვენებთ. დღეში კი ვარჯიში რამდენიმე საათი გრძელდება. ფედერაცია ძირითადად სპონსორების საშუალებით მართავს შეჯიბრებას. გიორგის დიდი სურვილია, იქნებ **ბორჯომის მინწყლების ჩამოსხმელმა ქარხანამ გაგვიწიოს სპონსორობა**, რომ კიდევ მრავალჯერ ვსახელოთ ბორჯომში.

- ეს თასი ბორჯომში დარჩა - სიმაყით თქვა გიორგიმ. გუნდთან ერთად მას აქვს პირადული მიღწევები: მასრესლინგში (ჯოხის წართმევა) არის **საქართველოს სამგზის ჩემპიონი** და ერთხელ **ევროპის პრიზორი**, **სამჭიდოში - ორჯერ საქართველოს ჩემპიონი** და ერთხელ **ევროპის პრიზორი**, ასევე **საქართველოს ჩემპიონი** ე.წ. ექსტრემალურად შტანგის აწონევაში. მან წელსამდე აწია 310 კგ. მობილურში მაჩვენა, ვარჯიშის დროს როგორ აწია 350 კილოგრამიც, მაგრამ, რად-

მან ვითხრა, რომ როცა „ბორჯომობა“ გაიმართება, ბორჯომში, „გარეთ“ ჩაატარებს საქართველოს პირველობას. **მისი ოცნება - მიზანია გინესის რეკორდის დამყარება. ისეთი მიზანწრაფულია, მჯერა, გიორგი ამ ნაოცნებარს მიაღწევს! ღმერთმა ხელი მოუშაროს ჩვენს უძლიერეს სპორტსმენს თავის მართათნულ გზაზე!** **შჩა ჯანბირაშვილი.**

სულ ახლახანს გარდაიცვალა ბორჯომის საპატრიო მოქალაქე, პოეტური ამაზუკელი. ისინი გამორჩეული ადამიანები იყვნენ თავიანთი საქმის პროფესიონალები, უბადლო, ინტელექტით დატვირთულნი, ამავდროულად უბრალონი, მაგრამ გენიალურები. მართალია, მათი გარდაცვალების მიზეზი თუ სამ შემთხვევას არ ჩავთვლით, კოვიდი სულაც არ იყო, მაგრამ საუკუნის ვირუსმა რომ „ჩაგვყალბა“, ამას რად უნდა მტკიცება. ისედაც მივტირით დიდ ადამიანებს და ახლა, ასე ერთიანად დაგვიოხრეს თავიანთი სფერო. სცენაზე თავდავნიყუბას მიეცემოდა, თუ კინოში დაუვიწყარ რაინდად მოგვევლინებოდა, მართლაც რომ ხალხის სიყვარულს იმსახურებდა განუთქმობელი კახი კავსაძე. რა ზრდილობა, რა პენი, რა აკადემიურობა და სისადავე - ეს ყველაფერი გამოსჭვივდა მასში. რა სიტყვა დაგვიკარგეთ, რა „სამოსელი პირველი“ შემოვიძარცვეთ „დოჩინას“ ნასვლით. ერთხელ შევხვდი ახლოს და არ მავიწყდება მისი სხივამდგარი, უკეთილესი მზერა, მოყვასის მოყვარული ღიმილი. გურამ დოჩინა-

ნარმოშობით ბორჯომელს, სპეციფიკური ხმის პატრონს, მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილს ჯერ კიდევ ახალგაზრდას მძიმე სენთან მოუწია შერკინება. მას უზომოდ ენატრებოდა სამშობლო და ბედის უკუღმართობით ისრაელში გარდაიცვალა.

ცხოვრებას ქმნის პიროვნებები, მან ბოჰემური ცხოვრების წესით ბევრი ყოფილი რამ უკან მოიტოვა, ბოლოს უსაყვარლესი თბილისიც დატოვა და უცნო, რა აქადაზე დალია სული. ამას წინათ შეიტანეს საკრებულოში იდეა, რომ ბორჯომში რომელიმე ქუჩას მისი სახელი დაერქვას. ვფიქრობ, უწყინარი და კარგი აზრია. ცხოვრება გრძელდება, თუმცა ქვეყანა ასეთი კოლორიტების დანაკლისს განაოდეგსე აინაზღაურებს?!

მონია ჭანჭიანი.

ჩვენ - საყვარელი დედა!
ქვირფასო, სულზე უტკბესო დედიკო, ახლოვდება შენი დაბადების დღე, რომელსაც შენს გარეშე ვხვდებით, დიდი მონატრებით გულდამძიმებულნი. ძალიან ვცხადებთ გაგვენანგრძობივინა შენი ჩვენს გვერდით ყოფნა. შენ ხომ უშრეტ ძალას და სიცოცხლის ხალისს გვმატებდი. გავინდობდა შენს საუკუნოვან იუბილეს, რომელიც სულ რამდენიმე თვეში სრულდებოდა ოჯახურ გარემოში შენგვედროდით შენს საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა. ჩვენო ლამაზო, მშვიდო და ტკბილო ადამიანო, შენს ჩვენდამი უანგარო სიყვარულს დაგინყება არ უწერია და სამარადისოდ დარჩები ჩვენს გულში. და ბოლოს, რაც ჩვენი სიტყვებით ვერ გამოვხატეთ, ცნობილი მსახიობის დოღო აბაშიძის ლექსით დავამთავრებთ:
ვინლა მომეფეროს დედასავით? ფიქრი აფთარავით მომხატება, გულზე დამეტება ელდასავით შენი საოცარი მონატრება... ქვაო, დედის ნეშტი მოგაბარე, შენ გთხოვ, დედასავით დამირწიე, ქვაო, დედასავით მომეფერე, დედის მაგიფრობა გამინიჭე! შენი მონატრებული შვილები: **თიანჯი და ნათია ხუნჯიანი** ბორჯომი, ახალგაზ.

ბინჯვით საეუბაოდ! რუმს კონტა ექაბს კანდიდატებს პოზიციებზე: **მიმტანი, ბარბანი, შხარაული, ინაინარი, დასუთსაპაბის მუშაპი, დინასხლისი, მრუსხაპი, დანინტარსაპული პირაპი გთხოვთ დაბ-პიკაპირდით ნომატრება: 599 300 428**

ანდრია პრველწოდებულის სახელობის ეკლესიის მრევლი და წინამძღვარი მამა გერასიმე იუნყებთან, რომ გარდაიცვალა და სამძიმარს უცხადებენ აბავე ეკლესიის სტიქაროსანს გიორგი აგლაძეს მამის გარდაცვალების გამო.
კარლო აგლაძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
ნომრის პასუხისმგებელი მორაგე: **უპანგი ჯანბირაშვილი.**
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შხა გამოცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თვედორე მღვდლის ქ. №57. borjomi@inbox.ru რედაქტორი: **გალეონიან ლომიძე**